ტექნიკური დოკუმენტაცია

შესყიდვის ობიექტი:
პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში ***სამეგრელოს რეგიონის*** მასშტაბით შემსყიდველის მიერ მითითებულ ლოკაციებზე საკვების მიწოდების მომსახურება, ქვემოთ მითითებული ლანჩბოქსის შესაბამისად:

ლანჩბოქსი უნდა მოიცავდეს შემდეგს:		ლანჩბოქსის რაოდენობა
1	**სენდვიჩი** – 2 (ორი) ცალი **სენდვიჩის შემადგენლობა:** სენდვიჩის პური (ე.წ. „ბატონის“ ტიპის) ზომა – არანაკლებ 12 სმ; შიგთავსი – ყველი, ლორი; ყველი – არანაკლებ 25 გრ. ლორი – არანაკლებ 20 გრ.	1 079 ცალი
2	**ნამცხვარი, ქარხნული, *ქარხნული შეფუთული*** - 2 (ორი) ცალი, თითო ნამცხვრის წონა: არანაკლებ 60 გრამი.	
3	**სამარხვო ნამცხვარი ჯემით, ქარხნული, *ქარხნული შეფუთული*** – 4 (ოთხი) ცალი, თითო ნამცხვრის წონა: არანაკლებ 20 გრამი.	
4	**ჩაი** – არომატების გარეშე, ერთჯერად პაკეტში, 1 ცალი.	
5	**ყავა ხსნადი** – ერთჯერად პაკეტში, 1 ცალი.	
6	**შაქარი** – 4 (ოთხი) ერთჯერადი პაკეტი.	
7	**სასმელი წყალი** – არაგაზირებული 0,5 ლ, **2 (ორი) ცალი** პლასტმასის ბოთლი.	
8	**შეფუთვა და აქსესუარები:** ქაღალდის გაუმჭვირვალე პაკეტებში მოთავსებული უნდა იყოს: ➢ 2 (ორი) ცალი სენდვიჩი, შეფუთული საკვები ფირით; ➢ 2 (ორი) ცალი **ნამცხვარი, ქარხნული, *ქარხნული შეფუთული;*** ➢ 4 (ოთხი) ცალი სამარხვო ნამცხვარი ჯემით, **სამარხვო ნამცხვარი ჯემით, ქარხნული, *ქარხნული შეფუთული;*** ➢ 1 (ერთი) ერთჯერადი პაკეტი ჩაი; ➢ 1 (ერთი) ერთჯერადი პაკეტი ყავა; ➢ 4 (ოთხი) ერთჯერადი პაკეტი შაქარი; ➢ 1 (ერთი) ცალი პლასტმასი კოვზი; ➢ 2 (ორი) ცალი ერთჯერადი მუყაოს ჭიქა, სითბო გამძლე.	

აუცილებელი პირობები:

1. მისაწოდებელი კერძები და კვების პროდუქტები უნდა იყოს ვარგისი, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო და უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის სტანდარტებს;
2. შემოთავაზებული ნამცხვარი და სამარხვო ნამცხვარი ჯემით უნდა იყოს ქარხნული, ***ქარხნული შეფუთული*** წესით დამზადებული და დაფასოვებული მოთხოვნის შესაბამისად;
3. ერთჯერადი ყავის, ჩაისა და შაქრის ვარგისიანობის ვადა მიწოდების პერიოდში უნდა იყოს ვალიდური;
4. აქსესუარები უნდა იყოს დამზადებული ქარხნული წესით, ეკოლოგიურად უსაფრთხო მასალისგან, არ უნდა დეფორმირდეს საკვების მიღების დროს და ასევე ცხელ წყალთან ზემოქმედების შედეგად;
5. ქაღალდის გაუმჭვირვალე პაკეტი უნდა იყოს დამზადებული ქარხნული წესით, ეკოლოგიურად უსაფრთხო მასალისგან. პაკეტში სენდვიჩი, ნამცხვარი, სამარხვო ნამცხვარი ჯემით, ჩაი, ყავა, შაქარი და აქსესუარები უნდა განთავსდეს ერთმანეთისგან განცალკავებულად, სენდვიჩები შეფუთული უნდა იყოს შესაბამის შესაფუთ საკვებ

ფირში. შიგთავსი არ უნდა დაზიანდეს ტრანსპორტირებისას. შემსყიდველი უფლებამოსილია არ ჩაიბაროს დაზიანებული ლანჩბოქსი.
6. დაუშვებელია მომდევნო დღის ლანჩბოქსის მიწოდება წინა დღეს.
7. მიმწოდებელს შემსყიდველის მიერ, არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე, წერილობითი დაკვეთის სახით ეცნობება მომსახურების გაწევის ვადები, მომსახურების გაწევის ადგილი, კონკრეტულ ლოკაციაზე მისატანი ლანჩბოქსების რაოდენობა და აღნიშნულ ლოკაციებზე შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის ვინაობა.
8. მიმწოდებლი ვალდებულია საკვების მიწოდების ადგილზე წარმოადგინოს ლანჩბოქსის ტრანსპორტირების დამადასტურებელი დოკუმენტი (სასაქონლო ზედნადები), რომელზეც, შესაბამის ლოკაციაზე შემსყიდველის მხრიდან განსაზღვრული პირი მოაწერს ხელს. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს. ხელმოწერილი დოკუმენტი (სასაქონლო ზედნადები) მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემსყიდველ ორგანიზაციაში.
9. კონკრეტულ ლოკაციაზე მიმწოდებლის მიერ წარდგენილი ლანჩბოქსის ტრანსპორტირების დამადასტურებელი დოკუმენტის (სასაქონლო ზედნადები) ამობეჭდვის თარიღი უნდა ემთხვეოდეს დაკვეთის შესაბამისი მომსახურების გაწევის თარიღს.
10. მიმწოდებელი ვალდებულია, ლანჩბოქსები და ასევე მათთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადები) ჩააბაროს მხოლოდ შემსყიდველის მიერ წერილობით დაკვეთაში განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს.
11. შერჩევა-შეფასების ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს პრეტენდენტის მონაცემების შემოწმებას მსოფლიო ბანკისა და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი მონაცემთა ბაზების მიხედვით. აღნიშნულ ბაზებში პრეტენდენტის შესახებ ნეგატიური ჩანაწერის არსებობა წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მისი დისკვალიფიკაციის საფუძველს.
12. მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ განსაზღვრული დაკვეთის შესაბამისად, საკვები შესაბამის ლოკაციაზე მიწოდებულ უნდა იქნას მომსახურების გაწევის დღის არაუგვიანეს დილის 12:00 საათამდე.
13. მომსახურების გაწევის ადგილი: სამეგრელოს რეგიონების მასშტაბით, შემსყიდველის მიერ შესაბამის დაკვეთაში მითითებული ლოკაციები (რაიონები და ზუსტი მისამართები), მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ლანჩბოქსის ტრანსპორტირება შესაბამისი ლოკაციის კონკრეტული სართულის ჩათვლით:

№	რაიონი	ჯამური რაოდენობა
1	აბაშა	**1 079 (ერთი ათას სამოცდაცხრამეტი) ცალი ლანჩბოქსი** (საკვების მიწოდების კონკრეტული თარიღები, რაოდენობები და მისამართები ლოკაციების მიხედვით, მიმწოდებელს ეცნობება შემსყიდველის მიერ წინასწარ, წერილობითი დაკვეთის განხორციელების დროს
2	ზუგდიდი	
3	მარტვილი	
4	მესტია	
5	სენაკი	
6	ფოთი	
7	ჩხოროწყუ	
8	წალენჯიხა	
9	ხობი	

14. შესაფუთი ქაღალდის ნიმუშები: